№ 2 ოთხშაბათი, 19 ნოემბერი 1908 წ. №2

# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.
განცხადებისა ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.
რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

**ტფილისის სახაზინო თეატრი**
საოპერო ამხანაგობა **ანტონ ეიხენვალდის** გამგეობით
დღეს, ოთხშაბათს, 19 ნოემბერს, ბენეფისი ქ-ნ დრუზიაკინასი.
**„კ ა რ მ ე ნ ი"**
მონაწილენი: ქ-ნნი ზასლავსკაია, დრუზიაკინა, კალინინა მეორე; ბ-ნი დანილევსკი, კარჟევინი, კარელინი, ლუტჩოვი, ტომსკი და სხ.
დირიჟორი **ი. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ო. ურბანი.**
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
**ანონსი:** 20 ნოემბერს წარმოდგენა არ არის. 21-ს, „მხიარული ქვრივი".

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი მ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი თვალისა ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11-დან 1-ლ ს. და საღამოთი 5—6 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—599—23)

**ექიმი კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—ნ.—3)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აკჰალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი ქუთაისში მ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—29)

**ექიმი ა. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსნატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—72)

**ექიმი მ. ი. ბეგიშვილი** ქუთ. დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს შინაგან, ქალთა და ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქ., ს. ფიფინოვისა, N 4. (5—უ—9)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—11)

**ექიმი კბილისა ქუთაისში მ. ი. ბეგიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—ნ—7)

**სამკურნალო ქუთაისში** ქირურგიული და დედათა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და ძლსალოგინებულ ოთახით **ექიმი ევ. ბოკერიასი** ამ წლის 10 ნოემბრიდან გადავიდა პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თიფურიას სამკურნალო იყო. (ნ—6)

**ფერშალი ლეონტი ი. ბარკალაია** ყურის ყვავილს. იღებს ყელჭირ:ების, ზენაგისა და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველდღე 3—6 საათამდე. გოგოლის ქუჩა N 68. (15—613—9)

გამოვიდა და იყიდება ყველგან **ჰერგარტ ჰაუპტმანის** ცნობილი და განთქმული დრამა **„ავადმყოფი ხალხი"** დრამა 2 მოქ. ვ. გუნიას თარგმანი. **ფასი 20 კაპ.** (10—633—1)

**წრეულს „ნაკადულის" ხელის მომწერთ** ეძლევათ მარკ ტვენის „ტომის თავგადასავალი" თარგმანი გრიგოლ ყიფშიძისა. ვინც სრულ ფასს არ შემოიტანს „ნაკადულისას" მათ პრემია არ გაეგზავნებათ. (5—უ.—4)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ.—31)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**გეომეტრი და მარკშაიდერი**
**გ. ს. ასათიანი**
გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**
ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—6.—56)

### ტფილისი, 19 ნოემბერი.

მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას სახ. სათათბიროს 15 ნოემბრის სხდომას, რომლის ანგარიში ქვემოდ იბეჭდება: ეს დღე ისტორიული იქნება რუსეთის საკონსტიტუციო ცხოვრებაში, მესამე სათათბიროს მოღვაწეობის მატიანეში.

15 ნოემბერს მესამე სათათბირომ, 3 ივნისის სახალხო წარმომადგენლობამ, გადაჭრით გამოსთქვა თავისი აზრი აგრარულ საკითხზე, უარი უთხრა რუსეთის სოფლის მშრომელ ხალხს მის მოთხოვნაზე: არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოვების რადიკალურ პროექტებზედაო და მთავრობის აგრარული პოლიტიკა დაუბრკოლებლად უნდა ასრულდესო. სათათბირომ სთქვა ის, რაც მთავრობამ განუცხადა პირველსა და მეორე სათათბიროებს, დღევანდელმა სახალხო წარმომადგენლობამ გადაჭრით მიიღო ბიუროკრატიის და „შეერთებულ თავად-აზნაურობის" აგრარული პოლიტიკა. ძნელი იყო მისთვის აშკარად ამისი გამოთქმა, ბევრს ეცადა, აგრარულ საკითხის განხილვა თავიდან აეცდინა, დროებით მაინც, მაგრამ ვერას გახდა, ვერავითარმა ხრიკმა ვერ უშველა: 9 ნოემბრის კანონიც და გლეხთა დეპუტატების პროექტიც სათათბირომ ძალაუნებურად გამოამზეურა და ოპოზიციის წყალობით იძულებული გახდა, ორივეს შესახებ თავისი აზრი გამოეთქვა. კეკემალურლობას თავი დაანება, ნიღაბი ჩამოიხადა და თავისი გულის-ნადები პირდაპირ სთქვა...

პირველად საქმე გლეხთა პროექტზე მიდგა. ოპოზიციამ 13 ნოემბრის სხდომაზე მოახერხა და მივიწყებული პროექტი მორიგ საქმედ აღიარა. სათათბიროს უნდა განეხილა გლეხთა ჯგუფის აგრარული კანონ-პროექტი, რომელიც მეტად განსხვავდება მთავრობის კანონებისაგან და პირდაპირ აღიარებს გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოვებას; იძულებითი გამოსყიდვაც კი არის გლეხთაგან განზრახული. უმრავლესობამ ჯერ სცადა წინა სხდომის დადგენილების ჩაშლა, მაგრამ, როცა ეს ველარ მოახერხა, მოითხოვა პროექტის კომისიაში გადაცემა. ოპოზიციამ მედგრად მიიტანა იერიში რეაქციონერთა ბანაკზე, გამოამჟღავნა მათი უსინდისო ქამანდი, მაგრამ ბოლოს ძალამ ლელო გაიტანა: მესამე სათათბიროს უმრავლესობამ დამარხა კანონ-პროექტი—გადასცა იგი კომისიას. ოპოზიციის ის მოლოდინიც არ გამართლდა, რომ ყველა გლეხი მხარს დაუჭერდა; მემარჯვენე გლეხები ისევ გაჰყვნენ უმრავლესობას...

მეორე საგანი იყო 9 ნოემბრის კანონის შესახებ კამათი. მემარჯვენეთ და ცენტრმა, რაკი პირველში გაიმარჯვეს, აქაც კომედიის თამაშზე უარი სთქვეს და პირდაპირ მოუჭრეს სათათბიროს ოპოზიციას: 10 წუთის მეტი საჭირო აღარაა ორატორისათვის. ამრიგად ხელოვნურად შეზღუდეს კამათი უსიამოვნო საგანზე და მთავრობის პროექტის მიღება უზრუნველ-ჰყვეს. ამიერიდან მესამე სათათბიროს მზრუნველობა აგრარულ საკითხისათვის გამორკვეულია საბოლოოდ: იგი ბრმა ამსრულებელი იქნება გურკოების და „შეერთ. თავად-აზნაურობის" განზრახვათა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კადეტებმა უმტყუნეს თავიანთ „ფრთხილ ტაქტიკას" და ჩვეულებრივ ოპორტუნიზმს. აგრარულ საკითხში მათმა ლიდერმა, მილიუკოვმა, მაღალი ტონი აიღო და ბოლომდის საიერიშო ტაქტიკისთვის არ უღალატნია. კადეტები ორსავე კენჭის ყრაში უკიდურეს მემარცხენეებთან—ტრუდოვიკებთანა და ს.-დემოკრატებთან იყვნენ, მთელი დანარჩენი სათათბირო მათი წინააღმდეგი იყო, მათ შორის პროგრესისტებიც და პოლონელთა კოლოც. რამდენადაც ოქტომბრისტები, ცენტრი მარჯვნივ იწევა, იმდენად მემარცხენე ცენტრი—კადეტები—მარცხნივ იწევიან; რეაქციონურ ბანაკს შორის, ერთის მხრით, და დემოკრატიულ ელემენტებს შორის, მეორეს მხრით, უფრო და უფრო ღრმავდება უფსკრული; ძველი ფეოდალური რუსეთი და ახალი დემოკრატიულ-ბურჟუაზიული რუსეთი მორიგებას უფრო და უფრო ნაკლებ ახერხებენ და ერთმანეთს შორდებიან.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

წარმოუდგენელია ის თავხედობა, სადამდეც ამ რეაქციის დროს მივიდნენ შავ-რაზმელნი. აღარავის ერიდებიან, აღარაფრისა სცხვენიათ. არც საკვირველია: ძლიერნი ამა ქვეყნისანი მხარს უჭერენ და ხელს აფარებენ მათ ათას სისაძაგლეს. დღეს თითქმის ისინი არიან რუსეთის ბატონ-პატრონნი. ქვემოდ, „რუსეთში" მკითხველი წაიკითხავს, რა სისაძაგლე ჩაიდინეს ოდესელმა შავრაზმელებმა, ისიც პრესის წარმომადგენლებმა. მათ უსინდისოდ, აშკარად, თეატრში, ყველას თვალწინ სცემეს პროგრესიულ გაზეთის რედაქტორს. ახლა აბა იკითხავთ, რაებს სწერენ ეს ვაჟბატონები თავიანთ გაზეთებში! საკმაოა სანიმუშოდ აიღოთ თუნდა ის შავრაზმული გაზეთი, რომლის თანამშრომლებმაც ზემოხსენებული ბარბაროსული საქმე ჩაიდინეს ოდესაში. ამ გაზეთს სახელად „ოდეს. რეჩინა" ჰქვიან. ჯერ მარტო გარეგნობა იქცევს ყურადღებას: თავში დახატულია „რუსული მუშტი", რომელიც მუსრს ავლებს ებრაელებს. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ეს გაზეთი ებრაელებსა სდევნის, თუმცა ისიც უნდა სთქვას კაცმა, რომ ამათვის ყველა არა რუსი ებრაელია და, მაშასადამე, დევნისა და აწიოკების ღირსი. ამ ველურ გაზეთის ერთი მეთაური ასეთი იყო:

> დრო მეტად ძვირფასია ჩვენთვის, ამიტომ ძირს ურიები! ძირს ურიები! ძირს ურიები! გარეკეთ ურიები! გარეკეთ ურიები! დაწყევლილი ურიები! საზიზღარი ურიები! მყრალი ურიები!

ამავე გაზეთის ერთ ნომერში დახატულია მოწინავე რუსეთის სიამაყე, მოხუცი ლევ ტოლსტოი. იგი მაიმუნის სახით სახრჩობელაზე ჰკიდია და ქვეშ მოწერილი აქვს: „საიუბილეო საჩუქარი ლევ ტოლსტოის „ოდეს. რეჩინის" რედაქტორისა და თანამშრომელთაგან."

აი, ასეთი პრესსა ჰყავის დღეს ოდესაში?

* * *

კავკასია და კავკასიელნი მოსვენებას აღარ აძლევენ ოქტომბრისტებიდან დაწყებული ყველას, ვინც მათზე მარჯვნივ სდგას. როგორც ვიცით, ოქტომბრისტებს შეკითხვა შეაქვთ სათათბიროში კავკასიის საქმეების შესახებ. გაზეთების სიტყვით, მათ უნდათ მოითხოვონ, „ბოლო მოეღოს კავკასიის ერების თავგასულობას, რომ რუსებს შეეძლოთ თავისუფლად ცხოვრება ამ ჩვენი სისხლით მორწყულ კუთხეში". გამოდის, ვითომ კავკასიის ერები სჩაგრავდნენ რუსებს კავკასიაში. მემარჯვენენი პროექტს-პროექტზე ადგენენ, თუ როგორ უნდა უშველონ „რუსულ საქმეს" კავკასიაში. აი რასა სწერს ერთი მათი გაზეთი „გოლოს პრავდი":

> დაუყოვნებლივ უნდა გამოიცვალოს დღევანდელი პოლიტიკა და დამყარდეს ახალი კურსი. ეს ახალი კურსი-კი ის არის, რომ ეხლავე უნდა შეუდგეთ მთელი კავკასიის დასახლებას რუსებით. კავკასია ჯერსაც პირველ-ყოფილ მდგომარეობაშია და ეს იმ დროს, როცა რუსის გლეხები მიწერილ და ციმბირში ეძებენ ადგილებს. რუს კოლონისტებისთვის დღემდე არაფერი გაკეთებულა მაშინ, როდესაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ადგილობრივ მცხოვრებლებს და უცხოელებს ეხმარება... ამ რიგად, მიწათ-მფლობელობაც და მრეწველობაც მთლად არა რუსების ხელშია...

ასე და ამა პირსა ზედა, მთელი კავკასია რუსებით უნდა დაასახლონ. ადგილობრივი მკვიდრნი? მათ სრული ნება აქვთ მთვარეზე გადასახლდნენ...

## სახელმწიფო სათათბირო

### კანონ-პროექტი გლეხთა შესახებ.

15 ნოემბერს სათათბიროში ცხარე კამათი გაიმართა. წარსულ სესიაზე, როგორც მკითხველთ ემახსოვრებათ, სათათბიროს 47 გლეხმა შეიმუშავა და სათათბიროს წარუდგინა კანონ-პროექტი გლეხთა მიწათმფლობელობის შესახებ. კანონ-პროექტი დღემდის უძრავად იდვა სათათბ. კანცელარიაში, მხოლოდ წარსულ სხდომაზე, 13 ნოემბერს, ოპოზიციამ გაიმარჯვა და დაადგინა მისი განხილვა შემდეგ სხდომაზე. წესით, ეს კანონ-პროექტი მეორე მორიგ საქმედ უნდა ყოფილიყო 15 ნოემბრის სხდომაზე, მაგრამ თავმჯდომარეს იგი მესამე მორიგ საქმედ ჩაენიშნა, ე. ი., 9 ნოემბრის კანონის შემდეგ. ეს, რასაკვირველია, დიდ ხნობით გადადებდა გლეხთა პროექტის განხილვას.

**მილიუკოვი** გაკვირვებულია, როგორ მოხდა სათათბიროს დადგენილების დარღვევა და გლეხთა კანონ-პროექტის მესამე მორიგ საქმედ გამოცხადება.

**გეგეჭკორი:** „სოც.-დემოკრატები კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ, რადგან უპირველესად ყოველისა თავმჯდომარე მოვალეა სათათბიროს დადგენილება აასრულოს... (თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს და შენიშნავს—თავმჯდომარეს დარიგებას ნუ აძლევთო. მარჯვნიდან ტაშისცემა და ხმაურობა). გეგეჭკორი განაგრძობს: „ამ ტრიბუნიდან უნდა გამოვაცხადოთ, რომ ეს უმაგალითო დარღვევაა კანონისა"... (ხმაურობა ცენტრსა და მარჯვნით) თავმჯდომარე ისევ შენიშვნას აძლევს ორატორს. **მილიუკოვი** აღნიშნავს, რომ კენჭის ყრა სრულებით მეტია: სათათბ. დადგენილების თანახმად, კანონ-პროექტი მეორე მორიგ საქმედ უნდა იქმნას აღიარებულიო (ხმაურობა მარჯვნით). **კრუპენსკი** თავის ადგილიდან ყვირის: ბოლოს, კადეტებმა გაჰბედეს და აშკარად მიემხრნენ სოც.-დემოკრატებს. **ბულატი** იმ აზრისაა, რომ უმრავლესობას არ ჰსურს გლეხთა კანონ-პროექტის განხილვა და იმიტომ აჭიანურებენ საქმესაო. ტრუდოვიკები საჭიროდ არ სთვლიან კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებასო. **ფონ-ანრეპი** აცხადებს, რომ სათათბიროს საქმე არაა იმის განხილვაში შევიდეს, თუ რომელ მორიგ საქმედ არის კანონ-პროექტი ჩარიცხული. ჩვენ შეგვიძლია ეხლავ დავადგინოთ, რომ კანონ-პროექტი კომისიას გადაეცესო (ხმაურობა მარცხნიდან; ტაშისცემა მარჯვნიდან). **გეგეჭკორი** კვლავ აღნიშნავს, რომ უმრავლესობა კომედიას თამაშობს; ჯერ მესამე მორიგ საქმედ გამოაცხადა კანონ-პროექტი, თუმცა სათათბიროს წინანდელი დადგენილება მკაფიო და კანონიერი იყო, ეხლა კიდევ კომისიაში გადაცემას მოითხოვენ, რათა სრულებით დამარხოს კანონ-პროექტიო. ჩვენ არ გავყვებით უმრავლესობას და მოვითხოვთ კანონ-პროექტის ეხლავ განხილვას, რათა ქვეყნის წინაშე სავსებით გამომჟღავნდეს რეაქციონერთა სურვილ-განზრახვებიო (ტაშისცემა მარცხნით). **კროპოტოვი** ტრუდოვიკების მხრით პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ უმრავლესობას ძალით უნდა დაარღვიოს წინა სხდომის დადგენილება... დარბაზში დიდი ხმაურობაა; თავმჯდომარე სხდომის შეწყვეტას აპირებს, მაგრამ ნებას არ აძლევენ. **შიდლოვსკი** ოქტომბრისტების მხრით ამტკიცებს, რომ კანონ-პროექტი უეჭველად კომისიას გადაეცეს, რადგან იგი საკმაოდ დამუშავებული არ არისო. მემარჯვენე გლეხი **ფომკინი** ემხრობა შიდლოვსკის. **ბულატი** წინააღმდეგია კომისიაში გადაცემისა; უმრავლესობა გლეხებს ატყუებს და განზრახ აჭიანურებს საქმესო.

თავმჯდომარე აყენებს საკითხს ასე: გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოვების კანონპროექტი გადაეცეს თუ არა კომისიას იმის განსახილველად, თუ რამდენად სასურველია ასეთი კანონპროექტის შემუშავება. დარბაზი გაჭედილია. დეპუტატები ყველაა მოსული. იწყება კენჭის ყრა. უმრავლესობამ კადეტების, ტრუდოვიკების და ს.-დემოკრატების წინააღმდეგ დაადგინა საკითხი კომისიას გადაეცეს. ხანგრძლივი ტაშისცემა მარჯვნით და ცენტრში.

**აგრარული საკითხი**

ამის შემდეგ სათათბირო ისევ განაგრძობს კამათს 9 ნოემბრის კანონპროექტის შესახებ. გამარჯვებით წათამამებული უმრავლესობა აქაც ხრიკს მიმართავს. ერთი ჯგუფი წინადადებას იძლევა—10 წუთით იქმნას შეზღუდული დანარჩენ ორატორთა სიტყვებიო. მემარჯვენე გლეხი **აკიმოვი** მხარს უჭერს ამ წინადადებას: კანონი ყოველმხრივ გამორკვეულია და ტყუილად ძვირფას დროს ნუ ვკარგავთო (ტაშისცემა მარჯვნით). **როზანოვი** პროტესტს აცხადებს ამ ხრიკის წინააღმდეგ: მთელი რუსეთი დაინტერესებულია ამ კანონით და ძალით მოსპობა მისი განხილვისა შეუძლებელიაო. **კროპოტოვი** აღნიშნავს, რომ მესამე სათათბირო განზრახ გაურბის აგრარულ საკითხებსაო (ხმაურობა და სტვენა მარჯვნით). თავმჯდომარე კენჭს უყრის საკითხს. უმრავლესობა, კადეტების, ტრუდოვიკების და ს.-დ. ხმების წინააღმდეგ, ადგენს: 10 წუთით შეიზღუდოს დანარჩენ ორატორთა სიტყვებიო (ხანგრძლივი ტაშისცემა მარჯვნიდან და ცენტრში). **ვალკევიჩი** (პოლონელი) აცხადებს, რომ პოლონელთა კოლო კანონის მომხრეა, რადგან დასავლეთ ევროპის მაგალითი გვასწავლის, რომ კერძო მესაკუთრეობა მიწაზე პროგრესის გზაზე წინსვლას მოასწავებსო (ტაშისცემა ცენტრსა და მარჯვნით). **ნოვიცკი 1-ლი** აღნიშნავს, მემარცხენენი იმიტომ არიან 9 ნოემბრის კანონის წინააღმდეგნიო, რომ კერძო მესაკუთრე გლეხი კონსერვატორი იქნება და მტერი იქნება რევოლიუციისაო (ტაშისცემა მარჯვნით). **ეგოროვი:** გასაკვირველი არაა, რომ პოლონელთა კოლო მიწის საკითხში ოქტომბრისტებს მიემხრო. საინტერესოა, რას იტყოდა პოლონელი უმიწაწყლო პროლეტარი, არსებითად კანონზე არაფერს ვიტყვი, რადგან უმრავლესობამ ძალმომრეობა ჩაიდინა და მექანიურად შეზღუდა სიტყვის თავისუფლება: ბევრი ორატორი უარს ამბობს სიტყვაზე. ბოლოს კამათი შემდეგ სხდომისათვის გადაიდო.

**შეკითხვა ლიახოვის შესახებ**

სხდომის დასასრულ სათათბიროს მოხსენდა, რომ სათათბიროს წარმოედგინა შეკითხვა ლიახოვის შესახებ, რომლის განხილვას საჩქაროდ მოითხოვენ. ს.-დ. ფრაქციის მხრით შეკითხვას მხარს უჭერს **პოკროვსკი მე-2:** „თუ დასავლეთ ევროპისათვის პოლკოვნიკ ლიახოვის მოქმედება სპარსეთში გარეშე პოლიტიკის საკითხია, ჩვენთვის, რუსებისათვის, იგი პირდაპირ შინაური საკითხია. განა შესაწყნარებელია, რომ რუსეთის მოქალაქე, სამხედრო სამსახურში მყოფი, მეზობელ სახელმწიფოს ტერრიტორიაზე ისე იქცევა, რომ რუსის ხალხს აძულებს სპარსელთ? (ტაშის ცემა მარცხნით). შესაწყნარებელია განა, რომ იგი თავის მოქმედებით საფრთხეში აგდებს რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას. (თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს: საერთაშორისო მდგომარეობას ნუ ეხებითო). პოკროვსკი განაგრძობს: „განა ლიახოვი დიპლომატია? მე დიპლომატებზე არას ვამბობ; მაგრამ ოფიციალურ დიპლომატიასთან ერთად სპარსეთში მოქმედებს თვითნებობით „სამოზვანეც"-პოლკოვნიკი... (ასტყდება საშინელი ხმაურობა: ძირს, როგორ ჰბედავს, გააგდეთ გარეთ და სხვა). თავმჯდომარე მიმართავს პოკროვსკის: წაიღეთ თქვენი სიტყვა უკან: ცუდად იქცევა ლიახოვი, თუ კარგად, იგი „სამოზვანეცი" არაა, არამედ უმაღლესად დაჯილდოვებულია პოლკოვნიკის ჩინითაო.

**პოკროვსკი** განაგრძობს: „თუ კარგად ვერ გამოვთქვი აზრი, ჩემი სიტყვა უკან მიმაქვს. მაგრამ მე ლიახოვის პოლკოვნიკობას არ შევხებივარ. მე მინდა ვთქვა, რომ ლიახოვი „სამოზვანეცია" როგორც დიპლომატი (მარჯვნიდან: „ეგ სხვა საქმეა"). ასეთი ორპირი მოქმედება უცხო სახელმწიფოში შეუწყნარებელია... ჩვენ, ს.-დემოკრატები, შეურიგებელი მტრები ვართ ომისა და არა გვსურს, რომ რუსის აგენტების წყალობით რუსის ხალხი ისევ გაება ავანტიურაში. ამიტომ ვეკითხებით მთავრობას: როგორ უცქერის იგი ლიახოვის მოქმედებას სპარსეთ-

ში? საშიშია თუ არა იმისი მოღვაწეობა რუსის ხალხის ინტერესებისათვის? (ტაში კვამა მარცხნით).

**კრუპენსკი** წინააღმდეგია შეკითხვის დაჩქარებით განხილვისა და მოითხოვს იმის გადაცემას კომისიაში. მცირე ხნის კამათის შემდეგ, შეკითხვა გადასცეს კომისიას.

# ქრონიკა

## ტფილისი

**ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 17 ნოემბერს სამოთხი საქმე განიხილა. საბჭომ საფინანსო კომისიას გადასცა ლომბარდის მომავალი წლის აღრიცხვა. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ალ. ი. ხატისოვის მოხსენებამ ქალაქის მუშებისათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ქალაქს 200 მუშა ჰყავს ოსმალეთის ქვეშევრდომი. ისინი სომეხთა ჟლეტის დროს გამოქცეულან, აქ ქალაქის თვითმმართველობას მიუღია და სხვა და სხვა საქმეში ჩაუყენებია. ეხლა, სთქვა ხატისოვმა, ბევრი მუშა უკან აპირობს დაბრუნებას და თხოულობს ხანგრძლივ მუშაობისათვის შემწეობას. საფინანსო კომისიას ეს საკითხი პრინციპიალურად შეუმუშავებია. საფინანსო კომისიის აზრით, ვისაც 6 წლამდე უმსახურნია, მას უნდა მიეცეს სამი თვის ოდენა ფული, ხოლო ვისაც მეტ ხანს უმსახურნია—სამი თვის გარდა, თითო წლის სამსახურისათვის თვიურ ჯამაგირის ნახევარი. რადგან ოსმალეთიდან ეხლა, ცოტა არ იყოს, ცუდი ხმები მოდის, წამსვლელთა რიცხვი შეცოტავებულა და დღეს შემწეობის მთხოვნელი მხოლოდ სამი კაცი ყოფილა—სარქისიანცი, ბარსეგიანი და მხითარიანი. საფინანსო კომისიის მიერ შემუშავებულ წესით, ბარსეგოვს უნდა მიეცეს—257 მან., მხითარიანს 262 მან. ხოლო სარქისიანცს—75 მ. ამ წესის წინააღმდეგი იყო საბჭოს უმრავლესობა. სულ წინააღმდეგნი იყვნენ შემწეობისა ხმ. ზუბალოვი და გამგეობის წევრი კოჩაევი. საქალაქო დებულება არ გვაძლევს ნებასაო. ეს ქველ-მოქმედება იქნება; თუ გვინდა შემწეობა აღმოუჩინოთ, ერთი ათასი მანეთი სომეხთა ქველ-მოქმედო საზოგადოებას მივცეთ და მან გაისტუმროს სამშობლოში მიმავალი სომხებიო. საბჭომ უარჰყო საფინანსო კომისიის მიერ შემუშავებული წესი „შემწეობის" დანიშვნისა. რაც შეეხება აღნიშნულ მუშებს, კენჭის ყრით გადასწყდა, მიეცეთ ფული იმდენი, რამდენიც ზემოდ აღვნიშნეთ. წვრილმან საქმეების გარდა, საბჭომ მთელი საღამო მოანდომა არამიანცის ფულით აშენებულ საავადმყოფოს მოწყობისა და გახსნის საქმეს. ამ საავადმყოფოს შესანახად ქალაქს ყოველ წლობით დასჭირდება 92,000 მან., ერთ დროულად-კი საავადმყოფოს მოსაწყობად—32,250 მან. და საანატომიო თეატრის გასაკეთებლად 21,500 მან. საბჭომ დაადგინა, გადასდოს ფული აღნიშნულ საავადმყოფოსთვის.

**შენობა მუზეუმისთვის.** შაბათს, 15 ნოემბერს, წერა-კითხვის საზოგადოების კომისიამ განიხილა ინჟ. ქურდიანის მიერ წარდგენილი პროექტი სამუზეუმო შენობისა. როგორც გამორკვეულა, პროექტის განსახორციელებლად საჭიროა თურმე მხოლოდ 35,000 მან. კომისიამ მოიწონა ბ-ნ ქურდიანის პროექტი და დაადგინა, შეუდგეს ზრუნვას საჭირო ფულის მოსაპოვებლად.
7 კაპ.

**მომხმარებელი საზოგადოება.** ტფილისში დაარსდა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურეთა მომხმარებელი საზოგადოება. უკვე მოხდა დამაარსებელი კრება და თანამდებობის კაცთა არჩევნები. გამგეობის წევრებად აირჩიეს პ. ე. შტელინგი, ა. ს. როლკო და ილინი, მათ კანდიდატებად—დ. დავიდოვი, სპილიოტი და ბილანოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად — ევდოკიმოვი, ანანიევი და კორინთელი.

**სახალხო უნივერსიტეტი.** 20 ნოემბრისთვის დანიშნულია სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის წევრებისა. სექციამ რამდენიმე საქმე უნდა განიხილოს.

**სოლოლაკის გვირაბი.** სოლოლაკის გვირაბის გაჭრას დაამთავრებენ 25 ნოემბრამდე. გასაჭრელია კიდევ მხოლოდ ორი საჟენი. მთელი გვირაბი სიგძით 114 საჟენია.

**ცეცხლი.** 17 ნოემბერს გოლოვინის პროსპექტზე ფარმაცევტთა ამხანაგობის აფთიაქს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მოეკიდა ეფირს. დაშავდნენ აფთიაქის გამგე კოჩინევი და შეგირდები რუბენ ბაღდასაროვი და ბაგრატ ანტონოვი. ზარალი 1000 მანეთამდეა.

**სოფლის მასწავლებელთა ჯამაგირი.** სოფლის მასწავლებელნი ძალიან ხშირად დროზე ვერ იღებენ ხოლმე ჯამაგირს. ამ დღეებში ტფ. გუბერნატორს ამის თაობაზე ქაღალდი გაუგზავნია მაზრის უფროსებისთვის. იგი სწერს, სოფლის საზოგადოებებს ხაზინაში დროზე არ შეაქვთ სასოფლო ფული, რის გამოც მასწავლებლები მთელი თვეობით უჯამაგიროდ რჩებიანო. გუბერნატორი ავალებს მაზრის უფროსებსა და მომრიგებელ შუამავლებს, ყოველივე ღონე იხმარონ, რომ საზოგადოებებმა ფული შემოიტანონ ხაზინაში.

**ლოკაუტის გათავება.** ეს ექვსი კვირაა ხუროებს პატრონებმა ლოკაუტი გამოუცხადეს: წინად ხუროებს ეძლეოდათ ვერშოკზე შაური, პატრონებს უნდოდათ მხოლოდ 4 კაპ. მიეცათ. მაგრამ რადგან ხუროებმა ექვსი კვირა არ იმუშავეს, პატრონებმა თავიანთი წინადადება უკანვე წაიღეს და ისევ ძველ ფასზე, ერთ შაურზე დასთანხმდნენ.

**რეორგანიზაცია.** 16 ნოემბერს ტფ. ქალაქის გამგეობის კომისიამ განიხილა საკითხი ქალაქის გამგეობის ბუღალტერიის რეორგანიზაციის შესახებ. კომისიამ საჭიროდ სცნო 1910 წლიდან შემოიღოს ორმაგი იტალიური ბუღალტერია.

**სამართალში მიცემა.** სამსახურიდან დაითხოვეს და სამართალში მისცეს ტფ. მეორე საპოლიციო ნაწილის პრისტავის თანაშემწე სემენოვი.

**გადასახადი ვერის ხიდზე.** წელიწადზე მეტია ვერის ხიდზე გადასახადს იღებენ. ახლა ტფ. სახაზინო პალატის გამგემ აცნობა გუბერნატორს, დიდი ხანია ხიდმა ხარჯი გამოისყიდა და დროა გადასახადი მოისპოსო.

**ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1. „ავადმყოფი ხალხი", დრამა ჰერგარდტ ჰაუპტმანისა, თარგმანი ვალერიან გუნიასი; გამოცემა ვიქ. მატარაძისა ფ. 20 კაპ.; „დილა, საამღვრო ლექსები", გალუსტ ჩიჩიანცისა; გამოცემა ს. ნანიევისა; ფ.

**დღესთვის დანიშნულია სხდომა** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი.

**ტფ. პოლიცმეისტერმა წინადადება** მისცა პოლიციელებს, მოსძებნონ ალექსანდრე ტემჩენკო (16 წ.) და ვასილ გაცკოვი (14 წ.), რომელნიც ამ დღეებში მშობლების სახლიდან გავიდნენ და სადღაც დაიკარგნენ.

## ბათომის სკოლა და ქართველი მუსულმანები

წერა-კითხვის საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე ბევრი ლაპარაკი იყო ბათომის ქართულ სკოლის შესახებ. იკვლევდნენ იმას, თუ რატომ არ ეტანებიან ამ სკოლას ქართველი მუსულმანები. გამოითქვა სხვა და სხვა აზრი. ზოგმა მასწავლებლებს დააბრალა, ზოგმა სხვა მიზეზები დაასახელა. ითქვა ისიც, ვითომ ბათომში მცხოვრები ქართველი მუსულმანები ნივთიერად იმდენად შეძლებულნი იყვნენ, რომ თავიანთ შვილებს გიმნაზიებში ზრდიდნენ. ეს აზრი სინამდვილეს დაშორებულია. ჯერ ერთი, ქალაქ ბათომში ქართველ მუსულმანის ოჯახი სულ ცოტაა, შეიძლება რამდენიმე ოჯახი იყოს; მეორე ნივთიერად ესენიც ხელ-მოკლენი არიან. სწორედ ამათი შვილები სწავლობენ ხსენებულ სკოლაში და თუ უფრო მეტი მოსწავლე არ არის, ამისი მიზეზი შემდეგი გარემოებაა.

თითქმის მთელი ქართველი მუსულმანობა სცხოვრობს ბათომის მიდამო სოფლებში, ხოლო სოფლელმა კაცმა რომ შვილი შეიყვანოს ქალაქის სკოლაში, დიდი ხარჯია საჭირო. ვიანგარიშოთ სულ მცირედი: ბათომში მოსწავლე ბავშვის შენახვა თვეში დაჯდება არა ნაკლებ რვა მანეთისა; ცხრა თვეში მოდის 72 მანეთი, რაც ღარიბ სოფლელისათვის მეტად დიდ ხარჯს შეადგენს. მაგრამ გაჭირვება მარტო ამ 72 მანეთით არა თავდება. წარმოვიდგინოთ, რომ სოფლელმა იშოვნა 72 მანეთი და წაიყვანა შვილი ბათომს სკოლაში. საქმე ის არის, ვის მიაბაროს იქ, სადაც მას სრულიად ნაცნობობა არა აქვს? ვინ ენდოს, რომ უზრუნველ-ყოფილი იყოს ზნეობის მხრივ?

თუ წერა-კითხვის საზოგადოებას სურს ჩვენი დახმარება და ქართველ მუსულმანთა შორის სინათლის გავრცელება, აუცილებლად მანვე უნდა იკისროს ბავშვების შენახვაც. ამ აზრით უნდა დაიქიროს სახლი და მოაწყოს პატარა პანსიონი, სადაც შეეძლოს სოფლელ ქართველ-მუსულმანს მიიყვანოს შვილი და ჩააბაროს პანსიონის გამგეს; სოფლელი მაშინ დარწმუნებული იქნება, რომ მისი შვილი უპატრონოდ არ არის დატოვებული. ამ ხასიათის პანსიონის მოწყობა მით უფრო ადვილია, რომ, დარწმუნებული ვარ, ბათომში ყველა წრეში ბევრი მოიპოვება ისეთი გულ-კეთილი ადამიანი, რომელნიც შეძლებისა და გვარად დახმარებას გაუწევენ ბავშვებს. აღმოჩნდებიან, მაგალითად, ექიმები, რომელნიც უფასო წამლობას არ დაიშურებენ, აღმოჩნდებიან ნივთიერად დამხმარებელნიც. ბათომში ამ ჟამად არსებობს ქალთა წრე, რომელსაც შეუძლიან ბევრ ნაირად მიჰხედოს ამ პანსიონს და სხვა. თავი და თავი შემნახველი პანსიონისა იქნება, რასაკვირველია, თვით ხალხი: მამები და ნათესავები, რომელნიც ვალდებულნი იქნებიან, ვისაც გარემოება ხელს უწყობს და ვინც სულ ღარიბ-ღატაკი არ არის, თავიანთ შვილების გამოსაკვებად ჩამოიტანონ სოფლიდან მჭადი, ლობიო, ყველი, ერბო და სხვა სურსათი. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ თითქმის ყველა სოფლელისათვის სურსათის მოტანა ადვილია, ხოლო ფულის შოვნა, ისიც 72 მანეთისა, ძალიან ძნელია.

ამ ნაირად თუ მოეწყო პანსიონი ქართველი საზოგადოება მალე დარწმუნდება, რომ ქართველი მუსულმანობა სწავლას კი არ გაურბის, არამედ სულით და გულით ეტრფის მას, რადგან დროთა ვითარებამ ნათლად დაანახვა, რა ჩამორჩენილია იგი უსწავლელობით.

ქართველი მუსულმანი

**დურსუნ-ეფენდი-ქიქავა.**

# სასამართლო

**დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცება.**

17 ნოემბერს საქმის გამოძიებამ გასტანა ნაშუადღევის 6 საათამდე. თავმჯდომარემ პირველად ჩვენება ჩამოართვა მოწმეს პატკიუნოსის. იგი ნაფიცი მოანგარიშეა დუშეთის ხაზინისა.

**პატკიუნოსმა** სთქვა: ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ხაზინის კარები ვიღაცეებმა დაარაკუნეს. ჩემი ამხანაგი პრიანისი გავიდა ფოიეში და იქიდან დაეკითხა უცნობთ, ვინა ხართ და რა გინდათო. უცნობებმა უპასუხეს, დარაჯები ვართო. რადგან პრიანისს დაუნახავს, რომ უცნობები ნოვოზაიაზეთის პოლკის ფორმაში ყოფილან გამოწყობილნი, კარი გაუღია. ამ დროს მე მეორე ოთახში ვიყავი. როდესაც ჩემთან რამდენიმე კაცი შემოვიდა, შინელებს ქვეშიდან შევნიშნე უბრალო ტანისამოსი. მივხვდი, რაშიაც იყო საქმე და დავაპირე გარედ გასვლა, მაგრამ ორმა უცნობმა ხიშტები მომიღერა და მუქარით მითხრა, ადგილიდან არ დაიძრა და ხმა არ ამოიღო, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო! ამის შემდეგ შემიკრეს თან მოტანილ თოკებით ხელ-ფეხი, ამგვარადვე შეჰკრეს პრიანისი, ნაფიცი ჰონქაძე, მოხელე მაზიტოვი და ყველანი ერთ ოთახში დაგვყარეს. შუა ადგილას ყუმბარა დასდეს და გვიბრძანეს, არ გავნძრეულიყავით. მერე უცნობებმა გასტეხეს ყუთი, ამოიღეს ფული, როგორც მერე გავიგე—315,000 მ. და ბოლოს წავიდნენ. ერთი შეიარაღებული კაცი დასტოვეს ჩვენთან. გავიდა ხანი და დარჩენილიც წავიდა. როცა ყოველივე მიწყნარდა, თოკები შემოვიპერით და იქვე ყაზახთა როტას ვაცნობეთ ეს ამბავი. ნაშუაღამევის პირველი საათი იქნებოდა, მოვიდნენ მაზრის უფროსი და სხვა მოხელენი და შეუდგნენ გამოძიებას.

პროკურორის შეკითხვებზე მოწმემ განაცხადა, არც ერთს ბრალდებულს არ ვიცნობ და არც მახსოვს ფულის წამღებთა სახეები. არ ვიცი, ქუჩაში იდგა ვინმე თუ არა, რადგან გარედ არ გაგვიშვესო. სახით ფულის გამტაცებელნი უფრო გურულებსა ჰგავდნენ, ზოგი მათგანი ქართულად ლაპარაკობდა. როცა შეგვკრეს, უცნობებმა გვითხრეს: ჩვენ არც მცარცველები ვართ და არც ქურდები, ჩვენ რევოლიუციონერები ვართო. მე არ ვიცი, ხალხმა იცოდა თუ არა, რომ ხაზინას დარაჯები მოხსნეს.

**მოწმე ჰონქაძემ** განაცხადა: იმ დროს, როცა უცნობები ხაზინაში შემოვიდნენ, მეძინა. ჩემთან შემოვიდა ორი კაცი და შემიკრა ხელფეხი. ასე გვარადვე შეჰკრეს მოზიტოვი და როცა ყველანი ერთად შეგვყარეს, შეუდგნენ რკინის კეტებით ყუთის მტვრევას. დანამდვილებით არ ვიცი, რა ეროვნების ხალხი იყო. სახით ზოგი რუსსა ჰგავდა, ზოგი სომეხს, ზოგიც ქართველს.

მოწმემ მოზიტოვმაც დაახლოვებით იგივე აჩვენა, რაც ქვემოდ აღნიშნულმა მოწმეებმა.

**მოწ. კორინთელი,** ყოფილი ხაზინადარი: ხაზინის გაცარცვის ამბავი შემატყობინეს ნაშუაღამევის 1 ნახ. საათზედ. როცა მივედი, ხაზინის მსახურნი იარაღაყრილნი დამხვდნენ და ხაზინიდანაც 315,000 მანეთი აღმოჩნდა წაღებული. წაღებული ფული ეკუთვნოდა სამობილიზაციო თანხას. ამ თანხისა წინად 400,000 მანეთამდე იყო. რადგან ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა იყო და ტფილისიდან არ შეიძლებოდა დროზე ფულის მიღება, მე ვითხოვე და ნებაც მომცეს, მეხარჯნა სამობილიზაციო თანხიდან. 400,000 მანეთიდან დავხარჯე 85,000 მან. როცა დარაჯების (სალდათების) გადაყენების ამბავი შევიტყე, ამის შესახებ შევეკითხე პოლკოვნიკ დიკს და მან მიპასუხა, ეს ჩემი საქმეაო. ხაზინაში ჩემს დროს კაპიტანს გედევანიშვილს ჯამაგირი არ მიუღია, არც ვიცნობ და არც როდისმე შევხვედრივარ. ჩემთან იგი არასოდესაც არ მოსულა. მე ვიცნობ მხოლოდ ცაგარელს, ისიც მას შემდეგ გავიცანი, როდესაც პასუხის გებაში მისცეს: მე ტფილისში გადმომიყვანეს და აქ შემთხვევით გავიცანიო.

გამოჰკითხეს აგრეთვე ორ ყაზახს.

**პივოვაროვმა,** დუშეთის მაზრის გადასახადთა ინსპექტორმა, სხვათა შორის, აჩვენა, რომ ხაზინის გაცარცვის შემდეგ ბევრი სხვა დასხვა ხმა გავრცელდა. როდესაც ხმა გავარდა, ამ საქმეში კაპიტან გედევანიშვილსაც ედება ბრალიო, ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ მართლა გედევანიშვილი ურევია, ფულის გატაცება პოლიტიკურის აზრით

# იდუმალი ხმები

**ლირიკული პოემა**

(ვუძღვნი ჩემს ძვირფას მასწავლებლებს)

ვაჰ სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა.
შ. რუსთაველი.

I

სალს კლდეზედ ვსდგევარ
და ჩემს დაბლა ზღვა ჰყეფს, ღრიალებს;
ტალღასა ისრის
შეუპოვარს, აღქაფებულსა!
ცისა კამარა დაუბურავს
შავსა ღრუბელსა,
განრისხებული სტიქიონი
აკრთობს სულდგმულსა!..
საშინლად ელავს!..
მეხი ცეცხლსა აფრქვევს სამყაროს;
მკაცრი ბუნება ცის რისხვის ქვეშ
თრთის და ზანზარებს;
ფრთა გაუშლია შიშსა, ძრწოლას
და ღამის წყვდიადს.
ქვეყნის დემონი
თავისუფლად დაჰქრის, ხარხარებს!..
ცხარე ბრძოლაში
მიჰქრის ჟამი, მიეჩქარება,
მაგრამ სინათლე
ბედკრულ სოფელს არ ეფინება!
მითხარ, ჰე, ზღვაო,
რაა ჩვენი ყოფა-ცხოვრება?
ან ტალღის გრგვინვით
რას ასწავლი უძლურ გონებას?
ნუ თუ ამ ქვეყნად ისე მოვკვდე
და დავიმარხო,
რომ სულ ვერ მივწვდე
დიდ განგებას და მაღალ მცნებას?!

—

ოდნავ მიყუჩდა
ზღვა მქუხარე, აზვირთებული;
აღარ ისმოდა საზარელი
ტალღის გრიალი;
განრისხებული მთის გადაღმა
ჩადგა გრიგალი,
და უფსკრულიდან
შემომესმა ხმა იდუმალი:
— რასაც დაეძებ, ნორჩო ჭაბუკო,
იგი მე გულში მაქვს ჩამარხული;
თვით ვარ ცხოვრება, უკვდავი გრძნობა!
თვით ვარ ოცნება და სიყვარული!
მე ვძლევ ყველას ძალას შემომქმედს,
მე ვარ სიცოცხლე, მე ვარ სიკვდილი;
დიად სამყაროს მე ვასულდგმულებ,
მე მემონება ადამის შვილი!..
ხალხი ჰლოცულობს ჩემს უკვდავ სახელს,
მას ერთსა მხოლოდ ეთაყვანება;—
მაინც კი ბრმაა და ვერა მხედავს:
მე ვარ მძლეთა მძლე!—მე ვარ ბუნება!..
— მაშ ეს შენა ხარ ძალა დიადი,
რაიც გვაბრუნებს, გვიშფოთავს სულსა?
შენ გვბადებ მიტომ, რომ კვლავ დაგვმხო,
გვიგზნებ და გვიქრობ ცეცხლსა ღვთიურსა?
მაშ თუ ასეა, რა ღვთაშავე,
რად არ მომფინე მეც სიხარული?
სად არის ღმერთი სილამაზისა,
რად არ აღმიგზნო გულს სიყვარული?

—

უცბად გაიპო ცის კამარა,
შუქი გამოკრთა
და არე-მარე გაანათა
წყვდიადი, ბნელი;
გრგვინვის მაგიერ
გუგუნებდა მუსიკა ნელი.
სული ამაღლდა
ნაღვლიანი, სოფლის მგმობელი!
ნაზად მოფრინავს
ფრთათა რხევით ვინმე ასული;
ყვავილით ნორჩით
ტურფადა აქვს შუბლი შემკული!

—

მიმიახლოვდა, ჩემს მკერდს შეეხო,
მხურვალე ცეცხლით აღმიგრძნო გული;
განაცისკროვნა ნათელი სხივით
ჰაეროვანი, ობოლი სული!
შემდეგ შემასხა მსუბუქი ფრთები,
გადამაფრინა უცხო მხარესა;
იქ არ ისმოდა მაშვრალთ ვაება,
არცა აფრქვევდნენ ცრემლს მდუღარესა!
სულ სხვა ქვეყანა და სულ სხვა ხალხი!..
მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ;
ყოვლად შემძლებელს დიად ბუნებას
ჰიმნს დამატკბობელს უგალობდნენ!
მრავალ ფერ ყვავილს არხევდა სიო,
ტკბილად უსტვენდა ბუჩქში ბულბული;
კამკამა წყარო მწვანე ფერდობზე
მიჩქრიალებდა გამალებული!..
ხალხი -ცხოველებს, ცხოველნი—ფრინველთ
ჰარმონიულად ეთანხმებოდნენ;
ადამის შვილნი შეყვარებულნი
ერთმანეთს გულში ეკონებოდნენ!..
— მითხარ, მნათობო, სად მომიყვანე?
რას ეძახიან ამ ტურფა მხარეს?
თვალთ გადუშალე სულ სხვა ქვეყანა,
მხოლოდ აქა ჰგრძნობს სული სიამეს!..
— აი, ეს არის ადამიანნი
აღთქმულ ქვეყანას რომ ეძახიან;
მაგრამ, ვერ იქმნა, გზას ვერ მოაგნეს,
მოანგარენი ბრმად მოილტვიან!
— მითხარ, სახელი, ჰოი აჩრდილო,
მომნიჭებელო სიხარულისა!
და გავიგონე ყრუ ხმა მთრთოლვარე:
მე ვარ ღმერთი სიყვარულისა!..

II

იქა ვსტკბებოდი ტრფობით დამთვრალი,
ბულბულიც ახლო ბუჩქში ჰგალობდა;
შორით კი ვიღაც საამო ხმითა
და ხელის ქნევით თავისკენ მიხმობდა!..
— რა მხარეს მიწვევ, ჰაეროვანო?
შენი ღიმილი სულს რად მიხიბლავს?
სული აღვსილი სიყვარულითა,
ჩვენებავ, შენკენ რისთვის მოჰფრინავს?
— მე მეძახიან ნაზსა სიხარულს:
ვალხენ წამებულს,
ცით მოწყვეტილსა
იმედის სხივსა
ვაფრქვევ ჩაგრულ გულს!
ნიავის ქროლით მე ვაფრთოვანებ
სულს სევდიანსა
და სასომიხდილს ცად აღვამაღლებ
ადამიანსა!..
— ოჰ, მშვენიერო, იმ დროს სად იყავ,
როს გულსა ჰღრღნიდა სევდა-ნაღველი?
მე დავეძებდი შენ ცხოველ სხივებს,
ვერ გამეკვლია წყვდიადი ბნელი!
მრისხანე ქარი თავს დაბღაოდა,
სული მკერდის ქვეშ იყინებოდა;
ნუგეშის მცემი არავინ მყვანდა,
ცხოვრება ტანჯვას მემუქრებოდა!..
— რად, რად ახსენებ, ყრმაო, მაგ სიტყვას?
„ცხოვრება" ჩემთვის არის მტარვალი!
მე ვარ ნაყოფი სიყვარულისა,
მისებრ ნორჩი და მისებრ თამამი!..
— აქ ვარ ცხოვრება!.. მე ვინ მახსენა?
—აგერ შეძრწუნდა ყველა მის ხმაზე!..
ვგონებ აქ მოდის... უნდა გაგშორდე...
ვკრთი და ვკანკალებ მის დანახვაზე!
— ოჰ სიხარულო, რისთვის მიჰფრინავ?
თავს რად მანებებ გამალებული?
წუთით მომლხენმა შენმა ძალამა
რად დაამბლა გული ვნებული?
— ვერ ჰგრძნობ ცხოვრების მოახლოვებას?
ტყე ახმაურდა, ჰბერავს გრიგალსა;
იგი ჩვენ გაგვყრის, არ დაგვაყენებს...
ჩააქრობს გრძნობას და ტრფობის ალსა!

III

ზანზარებს მიწა... ცა იღრუბლება...
შორით მოისმის მეხის გრიალი;

უნდა მომხდარიყო, თორემ იგი ამ საქმეს არ ჩაიდენდაო.

სასამართლოში სხდომა შესწყდა ნაშუადღევის 4 საათზე და გადაიდო 18 ნოემბრისთვის.

# აკაკის იუბილეი

**ახალციხე.** 9 ნოემბერს აკაკის იუბილეის შესახებ მოსალაპარაკებლად მოხდა პირველი კრება, რომელმაც დაადგინა: 1. იუბილეის დღეს გადახდილ იქმნას პარაკლისი: დილით—ძველ ნაწილის მარინეს ეკკლესიაში, ხოლო საღამოთი—ახალ ნაწილში; 2. პარაკლისების შემდეგ გაიგზავნოს, სადაც ჯერ არს, მისალოცი დეპეშები; 3. ამავე დღეს გაიმართოს ძველ ნაწილში, ქალთა სასწავლებელში, ბავშვებისათვის უფასო სალიტერატურო დილა, ხოლო ახალ ნაწილში—ფასიანი სალიტერატურო საღამო; ამათი პროგრამები კომიტეტმა უნდა შეადგინოს; დილა-საღამოს უმთავრესი მიზანია, გააცნონ საზოგადოებას იუბილიარი; 4. კრებამ აირჩია ორი დეპუტატი ტფილისში გასაგზავნად; არჩეულ იქმნენ დ. ენუქიძე და ამიდბეგ ავალიშვილი (მაჰმადიანი), ამათ კანდიდატებად კ. გვარამაძე და ისაბეგ (შარიფ ბეგის-ძე) ხიმშიაშვილი; 5. გაიმართოს აკაკის ფონდის გასაძლიერებლად ხელის მოწერა; ფონდსავე მიემატება საღამოდან შემოსული ფული; 6. არჩეულ იქმნა კომიტეტი (შვიდი კაცი), რომელმაც მესამე დღესვე შეიმუშავა დილა-საღამოების პროგრამები და შეუდგა მზადებას.

**აბაშა.** 9 ნოემბერს აბაშაში მოხდა კრება მგლინის აკაკის იუბილეიზე მოსალაპარაკებლად. კრებამ დაადგინა: 1. აკაკის იუბილეი ს. აბაშაში იდღესასწაულოს ცალკე; 2. შეიკრიბოს ფული და გაიგზავნოს ფონდის გასაძლიერებლად სოფლის სახელით; 3. გაიმართოს სალიტერატურო დილა მოსწავლეთა და მოზრდილთათვის; 4. პარაკლისის შემდეგ გაეგზავნოს იუბილიარს მისალოცი დეპეშა.

ამების სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქნა კომისია სამი კაცისაგან. **ს. ძიმისტარაშვილი.**

**ხონი.** როგორც გავიგე, აკაკის საიუბილეო კომისიას, სხვათა შორის, განზრახვა აქვს დასდგას წარმოდგენა. წარმოსადგენად არჩეულია აკაკის „პატარა კახი“. წარმოდგენის დადგმას ფიქრობენ ადგილობრივ პროგიმნაზიის შენობაში, თუ ნება დართეს და თუ ნება არ დართეს, იმ შემთხვევაში არავითარი წარმოდგენა არ გაიმართება. **ალგიგ.**

**სოფ. ქვიტირი** (ქუთაის. მაზრა). აქაურებმა განიზრახეს მონაწილეობა მიიღონ აკაკის 50 წლის მოღვაწეობის დღესასწაულში. ამას გარდა ფიქრობენ აკაკის სახელობაზე უფასო სამკითხველოს დაარსებას, რისთვისაც ადგილობრივ მკვიდრთა შორის ფული იკრიბება.

**ტომსკი.** აქაურმა ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ გადასწყვიტა აკაკის იუბილეის გადახდა და ამისათვის კომისია აირჩია.

# სპარსეთის ამბები

**რევოლიუციონერების ახალი გამარჯვება.**

სალმასტის ენჯუმენის თავმჯდომარედ ნამყოფმა ჰაჯი-ფიშნამაზმა ოქტომბრის გასულს 200 შეიარაღებული ცხენოსანი შეკრიბა ყარადაღში, შეუერთდა სათარ-ხანის მომხრეებს და ალყა შემოარტყა ქალაქ დილმანს, დაამარცხა და იგერია ქურთები, რომლებიც მაქოს სარდალს გამოეგზავნა. დილმანის გუბერნატორი გაიქცა. დილმანს გარდა ფიშნამაზმა აიღო ქალ. კოშნემაჰარი. მას განუწყვეტლივ მოსდიან მაშველნი გარეშე ოლქებიდან და თავრიზიდან. თითქმის მთელი სალმასტის ოლქი ჩაიგდო ხელში ფიშნამაზმა. გზის მცველ ცხენოსნებისა და ჯარისკაცების ნაწილი მას შეუერთდა. სპარსულ ყაზახთა ბრიგადის ასეული, რომელიც სამ თვეს იდგა ურმიაში გზისა და სოფლების დასაცველად ქურთების დაცემისაგან, თეირანიდან მიღებულ ბრძანებისამებრ წავიდა თავრიზში. ასეულს შეეშინდა ფიშნამაზთან შეტაკებისა და ამიტომ გაემართა საუჯბულახის გზით და არა სალმასტით. („პ. ს.“)

**ენჯუმენის არჩევა ურმიაში.**

ახლად დაჭერილ ქალაქებში რევოლიუციონერებმა უპირველეს დააწესეს კონსტიტუციონური მართვა-გამგეობა და ხალხს ხელახლად აარჩევინეს ენჯუმენები, შაჰის მიერ დახურულ მეჯლისის განადგურების შემდეგ. აარჩევიათ ენჯუმენი ქალ. ურმიაშიაც. „პეტ. დეპ. სააგენტო“ იუწყება: ურმიის გუბერნატორმა მოსტეშამუს-სალტანემ მიიწვია ყველა წოდების წარმომადგენელნი და გამოუცხადა, თავრიზის რევოლიუციონერ ენჯუმენის მოწყრილობის თანახმად სამს დღეში უნდა აირჩიოთ ენჯუმენიო. ხალხმა ორ დღეში აირჩია ენჯუმენის დეპუტატები. არჩეულ არიან: სამღვდელოებისა, ხანებისა, მებატონეებისა, ვაჭრებისა და ხელოსნების წარმომადგენლნი.

**ეინუდ-დოვლე.**

შაჰის სარდალი ეინუდ-დოვლე დღემდე ბასმანჯაში დგას, თავრიზს ახლო და ჯერ-ჯერობით არაფერს არიგებს. ამბობენ, ეინუდ-დოვლე მაშველ ჯარს ელისო.

„პეტ. დეპ. სააგენტო“ იუწყება; 17 ნოემბერს რახიმ-ხანის ვაჟიშვილი თავის რაზმით შეუერთდა ბასმანჯაში ეინუდ-დოვლესო.

იუწყებიან აგრეთვე, რომ შაჰის მეორე სარდალი სელიმ-ხანიც მიდის თავრიზშიო. ამას გარდა იქვე წასულა 100 ყაზახი ურმიიდან. როცა ეს ჯარი შეუერთდება ეინუდ-დოვლეს, მაშინ, როგორც ჰფიქრობენ, ეინუდ-დოვლე ალყას შემოარტყავს რევოლიუციონერების ბურჯს თავრიზს და ერთხელ კიდევ სცდის ბედსაო.

**შაჰი და კონსტიტუცია.**

ამას წინად შაჰმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც გამოაცხადა, რომ ხალხის მტკიცე სურვილისამებრ სამუდამოდ ვსპობ კონსტიტუციასაო. ამ მანიფესტმა მთელი განათლებული ქვეყნიერობა გააოცა. ინგლისისა და რუსეთის ელჩებმა მაშინვე ნახეს შაჰი და აუხსნეს, რომ მისი მანიფესტი ეწინააღმდეგება მისსავე მტკიცე დაპირებას, რომ კონსტიტუციას არას დროს არ მოვსპობო. როგორც „პეტ. დეპ. სააგენტო“ იუწყებოდა, შაჰმა იმ საღამოსვე გააუქმა ეს მანიფესტი და დაჰპირდა ელჩებს, კონსტიტუციას არ მოვსპობო. იგივე სააგენტო იუწყება ეხლა, რომ 17 ნოემბერს რუსეთის და ინგლისის საელჩოების თარჯიმნები მივიდნენ ბაღეშაჰში და შაჰს მთელს საათს ესაუბრნენ. შაჰმა გამოუცხადა, რომ შეურყევლად მწადიან ხალხს კონსტიტუცია უბოძოო, მაგრამ ამასთანავე გაახსენა სამღვდელოების წინააღმდეგობა და სთქვა, რომ ხვალ შევკრებ განსაკუთრებულ მუდმივ სათათბირო დაწესებულებას ვრცელის უფლებითო. შაჰმა გაიხსენა მეჯლისის და ხალხის შეცდომანი და გამოსთქვა აზრი, რომ წინანდელ მეფობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ისეთ კაცების არჩევა უზრუნველვყოთ, რომლებიც არ დაემორჩილებიან ბოროტგანმზრახველ აგიტატორების გავლენას და წინანდელ შეცდომებს აღარ გაიმეორებენო. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებულის ყურადღებით შევიმუშავოთ ახალი საარჩევნო კანონებიო. ამ საქმეს მივანდობ იმ სათათბიროს, რომელიც ხვალ შეიკრიბებაო.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან: შაჰი ნანობს, რომ ინგლის-რუსეთის რჩევა შეისმინა და გააუქმა ის მანიფესტი, რომელიც სპობდა კონსტიტუციას. თეირანში ჰფიქრობენ, რომ შაჰი მაინც არას დროს აღარ აღადგენს გაუქმებულ კონსტიტუციასო.

# ბალკანეთი

**ბოლგარია და ოსმალეთი.**

ბოლგარიის პირველმა მინისტრმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა მიანდეს „პეტ. დეპ. სააგენტო“-ს გამოაცხადოს, რომ ის ცნობა, ვითომ ოსმალეთ-ბოლგარიის მოლაპარაკება შესწყდა, სინამდვილეს არ შეეფერებაო: მოლაპარაკება კარგად სწარმოებს. ბოლგარიის რწმუნებული ლიაპჩევი 18 ნოემბერს უნდა დაბრუნდეს სოფიაში. იგი მოდის თავის სამინისტროს ხარჯით ალრ-ცხვის შესატანად პარლამენტში. მის წამოსვლას სტამბოლიდან არავითარი ცუდი გავლენა არ ექნება მოლაპარაკების მსვლელობაზეო. გარეშე საქმეთა მინისტრმა დაუმატა: გამოაცხადეთ, რომ ტყუილია ყველა ის ხმა, ვითომ ბოლგარია ავსტრიასთან შეთანხმებას აპირებს სხვა სლავიანთა წინააღმდეგ: ამნაირი შეთანხმება შეუძლებელია ბოლგარიის მხრივაო.

**ავსტრია და ოსმალეთი.**

ოსმალურმა გაზ. „იენი გაზეთ“-მა (ახალი გაზეთი) დაბეჭდა საუბარი, რომელიც ჰქონიათ ვენაში ერენტალსა და ოსმალეთის ელჩს რეშადს. ერენტალს უთქვამს: მე ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს დავამტკიცე, რომ გულწრფელი მეგობარი ვარ ოსმალეთისა მით, რომ პროტესტი გამოვაცხადე ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ, რომლებსაც უნდოდათ მაკედონია მოესხლიტათ ოსმალეთისთვის. ახალ რეჟიმის დროსაც გამოვიჩინე იგივე მეგობრული გრძნობა ოსმალეთთან მოლაპარაკებაში, მაგრამ რადგან ჩვენი ელჩის მეგობრული წინადადება არ მიიღო ოსმალეთის მთავრობამ, მოლაპარაკება შესწყდაო. რეშადმა პასუხად იმედი გამოსთქვა, რომ ოსმალეთი და ავსტრია მორიგდებიანო. ერენტალმა მიუგო, რაც კი შემეძლო, ყველაფერი ვცადე იმ აზრით, რომ მორიგება მომხდარიყო, მაგრამ ჩემი მეცადინეობა ამაო გამოდგა. ავსტრიას სწადია მეგობრობა ოსმალეთთან, მაგრამ შეიძლება მისი მტერიც გახდესო. რაც შეეხება ავსტრიის ელჩის პალავიჩინის სტამბოლიდან წამოსვლას, უნდა აღვნიშნო, რომ პალავიჩინიმ კარგა ხანია მთხოვა შინ დათხოვა, მაგრამ მე ხოლოდ მაშინ მივცემ შინ წასვლის ნებას, როცა დავრწმუნდები, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკება ამაო იქნება.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ სტამბოლელ ავსტრიელთა წრეებში ლაპარაკობენ, შეიძლება ავსტრიამ თავის ფლოტს დემონსტრაცია მოახდენინოს, თუ ოსმალეთი გაკერპდებაო.

„კორ.-ბიურო“ იუწყება: ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის ოფიციალურმა დელეგატმა ნიაზი-ბეიმ პარიზში შემდეგი უთხრა „პესტერლოიდ“-ის თანამშრომელს: „ჩვენ არა გვგონია, რომ ავსტრო-ჰუნგრეთმა ომი გამოუცხადოს ოსმალეთს, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვეშინიან ომისა, რადგან მზადა ვართ: ოსმალეთს საკმაოდ ძლიერი ჯარი ჰყავს. ამას გარდა, ინგლისმა ოფიციალური გარანტია მოგვცა ყოველ გარეშე საფრთხის წინააღმდეგო“.

**შეტაკება ავსტრიელებსა და სერბებს შორის**

ბელგრადში 12 ნოემბერს ოფიციალური ცნობა მიიღეს, რომ დრინთან შეტაკება მოუვიდათ სერბიელთა რაზმს, რომელიც 30 კაცისგან შესდგებოდა, და ავსტრიის ჯარის პატარა რაზმსაო. ავსტრიელებს 7 კაცი დაუჭრეს და მოუკლეს, სერბიელთა რაზმი მთლად მოსპესო.

**ავსტრია საომრად ემზადება**

ყველა გაზეთები ერთხმად იუწყებიან, რომ ავსტრია საომრად ემზადება და დიდ ჯარსა ჰგზავნის სერბიისა და ჩერნოგორიის საზღვარზეო.

„მატენ“-ის ბელგრადელ კორესპონდენტისათვის უთქვამს ერთს საქმეში ჩახედულ დიპლომატს, რომ ავსტრიის საომარი მზადება უბრალო სამხედრო დემონსტრაციაა. ჯარის მობილიზაციას და საზღვარზე გაგზავნას და აგრეთვე ავსტრიულ პრესის ყვირილს მხოლოდ ისა აქვთ მიზნად, რომ შთაბეჭდილება მოახდინონ რუსეთის დიპლომატებსა და ხელმძღვანელ წრეებზე, რომლების ნერვიანობა და ფრთხილობა კარგად აქვს გაცნობილი ბარონ ერენტალს. ეს სამხედრო დემონსტრაციები მით უფრო საჭიროდ მიაჩნიათ ვენაში, რომ ამ ჟამად მოლაპარაკებაა გამართული ბარონ ერენტალსა და იზვოლსკის შორის. („რ.“)

**სერბიაში**

„რუსკი სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება: თუ სერბიის დელეგატები, რომლებიც უცხოეთის მთავრობებთან გაიგზავნენ, ვერაფერს გახდებიან და სერბებს იმედი გაუცრუვდებათ კომპენსაციების მიღებისა, სერბია დაუყოვნებლივ ომს დაიწყებსო.

**ოსმალელი და ჩერნოგორელი აფიცრები.**

ჩერნოგორიის სატახტო ქალაქს ცეტინიეში ოსმალელი აფიცრები მივიდნენ სკუტარის მეციხოვნე ჯარიდან. სტუმრების პატივსაცემლად გამართეს ნადიმი, რომლის დროსაც ორივე მხარემ სიტყვები წარმოსთქვა ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირზე. ამ დღეებში ახლა ჩერნოგორელი აფიცრები წავლენ სკუტარიში.

**ოსმალეთის სათადარიგო ჯარის დათხოვნა**

კონსულები იუწყებიან, რომ ადრიანოპოლში შინ დაითხოვეს სათადარიგო ჯარისკაცები. რამდენიმე ათასი ჯარისკაცი უკვე გაისტუმრეს სამშობლოშიო. („პ. გ.“)

**გერმანია და ოსმალეთი**

გერმანიის ელჩმა აუდენციის დროს ურჩია სულთანს, ავსტრიასთან დავა და ბოიკოტის საქმე სამედიატორო სასამართლოს გადაეცით გასარჩევად და თქვენის მხრით მსაჯულად გერმანიის წარმომადგენელი აირჩიეთო. ოსმალეთის მთავრობამ მადლობა გამოუცხადა ელჩს, მაგრამ მისი წინადადება მაინც უარჰყო („კ.“)

# ოსმალეთი

**არჩევნები.**

პარლამენტის 240 წევრიდან უკვე აირჩიეს 229.

არზრუმის ვილაეტში დაასრულეს არჩევნები. 3 ოსმალო აირჩიეს და 2 სომეხი-დაშნაკცაკანი.

**ახმედ-რიზა.**

რუსული გაზეთები იუწყებიან, რომ ახალგაზდა ოსმალთა მეთაური ახმედ-რიზა პეტერბურგში აპირებს მისვლასაო.

## ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე

(წერილი პეტერბურგიდან)

აქაურ სტუდენტთა შორის ამა წლის მარტში დაარსდა ცალკე სამეცნიერო წრე, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს წარსულის (ისტორია-ლიტერატურის) შესწავლა. წესდება წრისა უკვე დაამტკიცა უნივერსიტეტის საბჭომ და წრის ხელმძღვანელობა დააკისრა პრ.-დოც. ი. ჯავახიშვილს. დღიდან დაარსებისა წრის გამგეობამ (რომელიც 5 კაცისაგან შესდგება) მოახერხა ორჯერ გაემართა კრება რომელზედაც წაიკითხეს მოხსენებანი სტ. ი. ყიფშიძემ და ს. ცომაიამ.

---

აყრუებს სმენას, სულსა აძრწუნებს
ზახილი დიდი, ყვირილ-ღრიალი!
მოდის ცხოვრება, თან მოაქვს შიში,
კვნესა-ვაება, ცრემლი და ვიში!
შფოთავს და ჰღელავს, სულ წინ მიილტვის,
მოარღვევს გზასა, ამაყად იბრძვის!
— მე ვამოძრავებ კაცობრიობას,
ზღვის ნაპირებზე დავამსხვრევ ტალღებს;
ვინც ჩამომრჩება—გაისრისება,
ბედკრული თავსა გამოიტირებს!
ვინ ხარ, ჭაბუკო, სიდან მოჰსულხარ?
აღვსილი გრძნობით ძრწოდე ჩემ წინა!
შენც ჩემს ტალღებსა შემოუერთდი,
რომ სოფლის მწირმა იპოვოს ბინა!
როს ირგვლივ მხოლოდ მწარე ბრძოლაა
და მრავალ ხალხის ცრემლი იღვრება,—
შენ აქ რა გინდა, ყვავილთა შორის,
რად დაჰქრის ლაღად ნაზი ოცნება?
როგორ მიენდე იმ სიყვარულსა,
ცბიერ ჩვენებას—ცრუ სიხარულსა?
ანებე თავი მაგ მომხიბვლელებს,
მომყე, გიჩვენებ სხვა ქვეყანასა!
იქ მეფობს შრომა დაულალავი,
იქ ზღვა მედგრად სცემს ნაპირს ტალღასა!
— ეგ ხმა მრისხანე სულსა მიწუხებს
და შავს ბურუსში ახვევს ოცნებას;
მე კი სხვა ღმერთებს დავემონავე,
მათგან განვიცდი სიამოვნებასა!..
არა, გამშორდი, ვერ მოგენდობი!..
ტკბილი ოცნებით მინდა ვსტკბებოდე!
შენ კი მიქადი კვლავ მწარე ნაღველს,
გსურს უკმეხთ შორის ვიტანჯებოდე!..
— აგიხდი ფარდას სხვა ცხოვრებისას,
გიჩვენებ ხალხთა ტანჯვა-ვაებას;
და დაგანახვებ ნათლის გონებით
რაც ჰქმნის და არღვევს მაღალსა მცნებას!..
მე შთაგინერგავ დიად მიზანსა,
სინამდვილესთან შეთანხმებულსა;
გმირის სულს შთაგბერ, შეგქმნი მებრძოლად,
შეგრევ ზღვის ტალღებს აზვირთებულსა!..

VI

უცბად დაბნელდა!..
ნაზ ოცნებას ფრთა შეეკვეცა.
მუსიკა შესწყდა,
ხმას არ სცემდა საგალობელი;
დაბლა დავეშვი,
შავი სივრცე თვალთ გადმეშალა.
უტეხ ბურუსსა
დაებურა სხივი ცხოველი!..
წინ მე ცხოვრება მიმიძღვოდა
და გზას მიკვლევდა!
გადავიარეთ
მთის წვერვალნი, ტყენი და ღრენი;
მწუხარე სოფელს
თავს აჩრდილი დასტრიალებდა;
არსით ისმოდა
ხმა საამო დამატკბობელი!
სისხლით და ცრემლით
მორწყულიყო ირგვლივ მთა-ბარი,
კვნესა-გოდება
მრავალ ხალხთა ზეცას სწვდებოდა;
დაუსრულებელს
ღამის წყვდიადს ფრთა გაეშალა...
სუსტი უწყალოდ
მძლავრის ფეხ-ქვეშ ითელებოდა!..

—

— მომყე კვალ და კვალ!—მითხრა ცხოვრებამ.
ნუ შეუდრკები ჩემს მგრგვინავს ტალღებს:
აი, ეს არის ჩემი სამეფო!..
— და აქ ხომ მხოლოდ აფრქვევენ ცრემლებს?!
ხალხს სულსა ჰხუთავ სასტიკი ხელით...
ნუ თუ ეს არის შენი მიზანი?
ამ ჯოჯოხეთში, მითხარი, შენგან
სხვას რას მიიღებს ადამიანი?
რისთვის მოგენდე ეგრედ გულზვიადს?
რად დამაშორე ოცნების მხარეს?
ყვავილთა შორის სული ჰლაღობდა,
აქ კი კვლავ ვაფრქვევ ცრემლსა მდუღარეს!..
წადი, გამშორდი, ჰოი მტარვალო,
შენი ცრუ აღთქმა ვერ მიკლავს წყურვილს;
ჯილდოდ მიუძღვენ ეკლის გვირგვინი
ჩემს ნაზს არსებას, ფეხ-ქვეშ გათელილს!
თვალთ დამიბნელე... გრძნობა მომიკალ...
ადრე ჩამიქრე სულის ლამპარი;
და გულს მიშფოთებს ობოლს, გაცრცვნილსა
თავზარდამცემი შენი ხარხარი!..
აგერ, ხმა მესმის უკმაყოფილო...
ყოველი არსი ცრემლად იღვრება;
უგულებელ ჰყოფ მწარე გოდებას,
გულს შებრალება არ გეკარგება!..

—

ცაო, ისმინე ვედრება ჩემი,
ქვეყნად ვერ ვპოვე თავშესაფარი;
სულის მშვიდობა ადრე მომესპო,
დამეხშო წმინდა სამოთხის კარი!..
წინ მივილტვოდი,—უფსკრულს ჩავინთქე,
ვერ მივაწიე მთასა მაღალსა;
აწ მოქანცული მწარე სევდებით
შენ ერთს მოგიძღვნი სულის ლოცვასა!
ყურად იღევი, ცაო მაღალო,
ძალ გიძს გაჰფანტო ბნელი წყვდიადი;
შენ შეგიძლიან კვლავ ამამაღლო,
სულს დამაფრქვიო სხივი დიადი!
— ვის შეჰღაღადებ, ნორჩო ჭაბუკო,
ვის შესთხოვ სულის განსვენებასა?
ზეცა ყრუ არის, ის არ შეისმენს,
ვერც მიგიყუჩებს მწარე ვნებასა!..
— ვისი ხმა მესმის შავს უფსკრულიდან,
ეს ვინ დამბერა სიცივე ნელი?
გამომეცხადე, იქმნებ შენ მაინც
გადამყარო გულის ნაღველი!
— მე ვარ ძლიერი მთელს სამყაროში,
სული უკვდავი სივრცე-ჟამისა;
დიდი მოწამე და მოსაუბრე
პირველ დასაწყის-დასაბამისა!..
ვაქარწყლებ ტანჯვას და მწარე ნაღველს!
ვუსპობ და ვაძლევ სიამეს სოფელს!..
მეფე ვარ ქვეყნის,—მე ვარ სიკვდილი!
ჩემით დასტკბება ადამის შვილი!..
შენი ღაღადი მეც შემომესმა,
ყური ვათხოვე მწარე გოდებას;
აგერ, მოვფრინდი, რომ მიგცე მარად
სამუდამო ძილს და განსვენებას!..
— ძლიერო! სიტყვით სულსა ახარებ...
მოვილტვი შენკენ!..
აჰა, მიმიღე სასო მიხდილი,
მკერდს მიმისვენე!..
ახ! რა ცივი ხარ! ვკრთი დავკანკალებ!..
სით მიმაფრენ?
ჰო, შორს წამიყვა ტანჯვით აღვსილი...
იქ მომასვენე!..
თვალთ მიბნელდება...
გრძნობა ყუჩდება...
ნანას ვინ მღერის?..
ვისი ხმა მესმის?
ხომ არ შეგვხვდება
კვალად ცხოვრება?!
. . . . . . .
— თვით ვარ ცხოვრება,
უკვდავი გრძნობა!..
თვით ვარ ოცნება
და სიყვარული
ყველა ბოროტი,
ყველა კეთილი,
ჩემს გულში არი
ღრმად ჩამარხული!
მე ვაძლევ მხოლოდ ძალას შემოქმედს!..
მე ვარ სიცოცხლე, მე ვარ სიკვდილი!..
მე ვასულდგმულებ სოფელს, სამყაროს!..
ჩემი მონაა ადამის შვილი!
ხალხი ჰლაღადებს ჩემს უკვდავ სახელს,
მას ერთსა მხოლოდ ეთაყვანება;
მაინც კი ბრმაა და ვერა ხედავს:
მე ვარ მძლეთა მძლე—მე ვარ ბუნება!..

**ა. შანშიაშვილი.**

საინტერესო იყო ბ-ნ ცომაიას რეფერატი: „სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში ძველ დრო ებ (IV ს.) მე-XVIII საუკ. დასა'რულ,იდე", რომელიც წაკითხულ იქმნა 5 ნოემბერს უნივერსიტეტის ერთ აუდიტორიაში. შრომა ცომაიასი, როგორც თვითონ მან განაცხადა რეფერატის წინ, ოთხ თავადაა გაყოფილი. ჯერ-ჯერობით რეფერენტმა პირველი ორი თავი წაიკითხა და შეეხო სწავლა-აღზრდის საქმის მდგომარეობას საქართველოში მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე, როდესაც ძლიერი იყო ჩვენში ბიზანტიელთა და არაბთა კულტურული ზედგავლენა. რეფერატიდან ცხადად სჩანდა, რომ ავტორს ყოველ მხრივ შეესწავლა საგანი და არა ერთსა და ორ წყაროს გასცნობოდა. „ჩვენში შემდეგი ტიპის დაბა[ლ]ი სასწავლებლები არსებობდნენო,—სთქვა რეფერენტმა:—საკათალიკოსო, საეპისკოპოსო, სამონასტრო, საეკკლესიო და კერძო სკოლები". ამასთან ვრცლად დახატა მათი წარმოშობის და თან და თან განვითარების ისტორია. შეეხო ავტორი მოხსენებაში საქართველოს საზღვარ-გარეთელ სკოლებსაც, რომელნიც ჩვენებურ საზღვარ-გარეთელ მონასტრებთან ყოფილან დაარსებულნი და შედარებითი მეთოდის შემწეობით განმარტა აგრეთვე—თუ რა საგნებს გადიოდნენ იქა. ვრცლად ილაპარაკა ჩვენებურ „დიდ სკოლების" (აკადემიების) შესახებაც და ბევრი საყურადღებო აზრი გამოსთქვა მათ შესახებ. მოიყვანა ცნობანი მწიგნობართ—უხუცესის და ათაბაგის ფუნქციების შესახებაც სწავლა-აღზრდის საქმეში.

სამეცნიერო წრის გამგეობის არჩევით წინდაწინვე ორი ოფიციალური ოპონენტი იყო დანიშნული, მაგრამ, რადგან რეფერატი დიდ ხანს გაგრძელდა, მხოლოდ ერთმა (ბ-ნმა კაკაბაძემ) მოასწრო თავის აზრების გამოთქმა. ბ-ნ კაკაბაძის შემდეგ მოკლე შენიშვნა წარმოსთქვა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა, ორსავე ოპონენტს, ცომაიამ პასუხი გასცა. კრებას კარგა ძალი მსმენელი დაესწრო; იყვნენ, სხვათა შორის, აქაურ უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქალებიც.

შემდეგი კრება სამეცნიერო წრემ დაადგინა გამართოს აკაკის იუბილეის დღეს და ერთ წევრს მიანდო აკაკის შესახებ შესაფერ რეფერატის მომზადება. **ამხანაგი.**

## თეატრის მატიანე

**ქუთაისი** 9 ნოემბერს ქუთაისის დრამატიულ დასის ამხანაგობამ წარმოადგინა აკაკის დრამა „პატარა კახი". თუმცა ეს პიესა ბევრჯელ გვინახავს სცენაზე, მაგრამ, მიუხედავად მოთამაშეთა ბევრ ნაკლულოვანებასა, ისეთი კარგი შთაბეჭდილება არასოდეს არ მოუხდენია, როგორც ამ საღამოს. ამისი მიზეზი იყო დავითაშვილის ასული „პატარა კახის" როლში, მშვენიერი იყო განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში. ყველაფერი ხელს უწყობდა: რიხიანი, მჭექარე ხმა და შესაფერი გარეგნობა. შესანიშნავი სურათი დაგვიხატა იმ მოქმედებაში, როდესაც პატარა კახი შურის ძიებით გაფითრებულ რევაზსა და ლუარსაბს შუა ჩადგება. სამწუხაროდ, ასეთივე ვერ იყო იგი მეხუთე მოქმედებაშიაც, როდესაც პატარა კახი დროშით ხელში შემოდის მეფესთან და მტერზე გამარჯვებას ულოცავს: აქ რადაც მიზეზით აიბნა და როლი გადაავიწყდა, რამაც თამაშს ძლიერ შეუშალა ხელი და ეს მეტად ეფექტიური ადგილი უეფექტოდ გამოვიდა. კარგი ლევან ქობულიძე იყო ბ-ნი ზარდალიშვილი. მხოლოდ პირველ მოქმედებაში მასაც ეტყობოდა როლის უცოდინარობა, რაც ამ ბეჯით მსახიობისათვის იშვიათი მოვლენაა. კარგად ასრულებდა გელას როლს ბ-ნი შალვა დადიანი; განსაკუთრებით მგრძნობიერად ითამაშა მან მეხუთე მოქმედებაში. უსამართლობა იქნებოდა უყურადღებოთ დაგვეტოვებინა ქიქოძეშვილის ასული, რომელმაც მოხდენილად შეასრულა გელას ქალის ტურფას როლი: როლის ჩინებულად ცოდნა, ლექსის მარტივად, ძალდაუტანებლად და მარცვლებზე ხმის აუმაღლებლად კითხვა მაყურებლის სიამოვნებით უვსებდა გულს. ბ-ნს ანდრონიკაშვილს—თეიმურაზ მეფეს—თვალტანადობა სწორედ მეფური ჰქონდა, მაგრამ ხმა და მიხვრა-მოხვრა კი ვერა ჰქონდა შესაფერი. დანარჩენები, გარდა ბ-ნთ მურუსიძისა (რევაზ ბებურიშვილი) და სანიკიძისა (მეორე შიკრიკი), თამაშს პირდაპირ ხელს უშლიდნენ. არ ვარგოდენ უანის მუშები: კარგად გაწვრთნილ სალდათებივით დადიოდნენ სცენაზე თოხებ-გადადებულნი. „მეტეხი მუხასა"-ს მუშების ნაცვლად სხვები მღეროდნენ შორს კულისებში იმ დროს, როდესაც მუშები კიდევ სცენაზე იყვნენ.

საზოგადოება წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო. **დონ—ვალიანი.**

## წერილები

**დ. ხონი.** 2 ნოემბრისთვის დანიშნული იყო ილია ჭავჭავაძის დილის გამართვა. წინადვე იცოდნენ, დიდად გაჭირდებოდა აღნიშნულ დილის მოწყობა, რადგან მეტად ცუდი ამინდი იყო და დილა კი ფარდულში უნდა გამართულიყო. ყველაფრად მდიდარ ხონს, სადაც აუარებელი სასწავლებელია, თეატრი არა აქვს მის აშენებას არა ეშველა რა. სურვილი დიდია, მაგრამ, საუბედუროდ, საქმე ჯერ არა კეთდება. განძრახვა აქვთ მიმართონ ბ-ნ დიმიტრი ჩხიკვაძეს, და სთხოვონ, ააშენოს თეატრი, რითაც დიდ სიკეთეს დასდებს ხონს. ყოველ შემთხვევაში ხონელებისათვის საჭიროა ახლავე შეიძინონ ადგილი თეატრისთვის და შემდეგ გაადვილდება თვით თეატრის აგება. თეატრთან ერთად საჭიროა საწკითხველოსათვისაც შენობის აგება.

დიახ, ილას საღამოზე მქონდა ლაპარაკი. 2 ნოემბერს წვიმა არა ყოფილა, მაგრამ საშინლათ კი ციოდა (საღამოთი თოვლიც გვესტუმრა), კაცს გარედ გაჩერება არ შეეძლო. „სცენები მიროვოი პოსრედნიკთან" აღარ წარმოადგინეს. სიტყვები წაიკითხეს ექიმებმა მიქელაძემ და კიკალიშვილმა. „მუშა" წაიკითხა ექ. ჩხიკვიშვილმა. აგრეთვე წაიკითხეს სხვა ლექსებიც: „ელეგია," „გუთნის დედა", „ქართვლის დედა" და „აგერ უფალი და მისი მონა" აჩრდილიდან. ბაზტაძის ხელმძღვანელობით ხორომ მშვენივრად იმღერა რამდენიმე ლექსი ჭავჭავაძისა. ნაშუადღევის 3 საათზე სიცივისაგან აძაგძაგებული ხალხი ფარდულიდან წავიდა სახლში. **ვარლამ**

## უცხოეთი

**„ეროვნული ავტონომია."**

მადიარსიულ გაზ. „რადა"-ს ატყობინებენ ვენიდან: აქ სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან დაარსდა ამხანაგობა, სახელად „ეროვნული ავტონომია". ამხანაგობის მიზანია—ეროვნულ ავტონომიის და ყველა ერთა თანასწორობის იდეის გავრცელება ხალხში. ამ ამხანაგობის თავმჯდომარედ აარჩიეს ავსტრიის პარლამენტის წევრი გერმანელი ერნესტ ბრაიტერი და მის ამხანაგად უკრაინელი (რუსინი) დეპუტატი დოქტორი ევგენი ლევიცკი.

**კამათი გერმანიის რეიხსტაგში.**

ამ ჟამად გერმანიის რეიხსტაგში გამართულია კამათი საფინანსო რეფორმის შესახებ. კამათის დროს ცენტრის დეპუტატმა ერცბერგერმა ილაპარაკა დიდ სამხედრო ხარჯის წინააღმდეგ. ამას წინად ინგლისის მთავრობამ წინადადება მისცა გერმანიის მთავრობას, შეთანხმება შეეკრათ ფლოტის ხარჯის შემცირების შესახებო. გერმანიის მთავრობამ კატეგორიულად უარ-ჰყო ეს წინადადება. ორატორის აზრით ეს უდიდესი შეცდომა იყო; საერთაშორისო პოლიტიკაში ამისთანა შეცდომა იშვიათად ჩაუდენიათ. ამ უარს ის შედეგი მოჰყვა, რომ ინგლისი ამ ჟამად გაჩქარებით აძლიერებს თავის ფლოტსაო.

ელზასის ოლქის წარმომადგენელმა სთქვა: თუ გინდათ, რომ საფრანგეთის შურისძიებისა აღარ გვეშინოდეს, უნდა დაარსოთ ელზას-ლოთრენის რესპუბლიკა. მაშინ იქაური ხალხი დაუმეგობრდება გერმანიას. გერმანია არც რუსეთისთვის უნდა ინახავდეს დიდ ჯარს. ერთის სიტყვით, არაა არც ერთი სახელმწიფო, რომლის გულისთვისაც საჭირო იყოს აუარებელ სამხედრო ხარჯის გაწევაო.

**შეთანხმება იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის.**

„ვოლფის სააგენტო"-ს ნიუ-იორკიდან ოფიციალურად ატყობინებენ, რომ ცნობა იაპონიის და შეერთებულ შტატების შეთანხმების შესახებ მართალია. იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა ამნაირი შეთანხმება შეკრეს: ორივე სახელმწიფო მოვალეა პატივის ცემით მოეკიდოს ჩინეთის ხელუხლებლობას; ყველა სხვა ერებსაც თანასწორი უფლება აქვთ ჩინეთში ვაჭრობისა და მრეწველობისა. ამას გარდა, შეთანხმების ძალით, იაპონია და შტატები, თუ ეხლანდელ საქმეთა მდგომარეობას რამე საფრთხე აღმოჩნდება, მოვალენი არიან მოლაპარაკება გამართონ ერთმანეთთან და საერთო ღონისძიება მიიღონ.

## რუსეთი

**ლევ ტოლსტოის სურათი.** მოსკოვის ერობამ ამას წინად დაადგინა, ერობის ყველა სკოლაში ლევ ტოლსტოის სურათი დაჰკიდოს. ეს არ მოსწონებია მოსკოვის გუბერნატორს და ერობის გადაწყვეტილება გააუქმებია.

**ესპერანტო.** ნოემბრის ბოლო რიცხვებში მოსკოვში გაიმართება წარმოდგენა ესპერანტოს ენაზე.

**სამღვდელოება.** 7 ნოემბერს მინისტრთა საბჭოში გაირჩა საკითხი, მიეცეს თუ არა სამღვდელო პირებს უფლება მესამე კლასის ბილეთებით მეორე კლასში იმგზავრონ. ჯერ არ იციან გაზეთებმა, როგორ გადასწყდა ეს საქმე.

**რაში იხარჯება ხალხის ფული.** მკითხველებს, ეჭვი არ არის, ეხსომებათ პირველ სათათბიროების მემარჯვენე დეპუტატი კრუშევანი. აი, ამ ვაჟბატონმა ეხლა ხან ხაზინიდან მიიღო 10,000 მანეთი სუბსიდია. კრუშევანი კიშინევში სცემს გაზეთს „დრუგ"-ს. ამ გაზეთში კაცთ-მოძულეობის მეტი არაფერი იბეჭდება. ისე წავიდა ამ გაზეთის საქმე, რომ უსახსრობით უნდა დაკეტილიყო და აი კრუშევანს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიუმართავს—სუბსიდია მომეცით და ჩემი გაზეთის დამატებად გლეხებისთვის ფურცელს გამოვცემ და გლეხებს უფასოდ დაურიგებო. სამინისტროს შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა და ათი ათასი მანეთი ჩაუჩხრიალებია კრუშევანისთვის. მკითხველი ადვილად მიჰხვდება, რა საზრდოს მიაწვდის კრუშევანი გლეხებს თავის ფურცლებში.

**ჩამოხრჩობა.** კიევის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ბროდსკის სახლზე თავდასხმის შესახებ. შვიდ კაცს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, ორს—უვადო კატორღა. ბრალდებულთ განასაჩივრეს საქმე, მაგრამ მთავარმა სამხედრო სასამართლომ არც ერთს სასჯელი არ შეუმსუბუქა.

**დიდი ფულის გატაცება.** ციმბირში ურგიდან კიახტაში მიმავალი ფოსტა გაუცარცავთ. წაუღიათ 25,000 მანეთი.

**სტუდენტების გაფიცვა.** ტომსკის სატეხნოლოგო ინსტიტუტის სტუდენტები კვლავ გაფიცულან. სტუდენტთა კრებას, 1109 ხმით 207 ხმის წინააღმდეგ, დაუდგენია გამოაცხადოს გაფიცვა.

რედაქტორ-გამომცემელი **ივანე ხოზიაშვილი.**


## განცხადებანი

**ურისკოდ** თუ მუშტარს საქონელი არ მოეწონა, ფული დაუბრუნდება. **ინგლისური** მეტად გამძლე პრაქტიკული **ტრიკო**—კოზტა, მატყლის მატერია წარმოსადეგ და სრულ მამაკაცთა კოსტიუმებისთვის—შავი, მუქი-ლურჯი, ყომრალი წინწკლებიანი, ყვითელი წინწკლებიანი, უჯრებიანი, ზოლებიანი, რუხი, მარენგო და სხვა ფერისა და სურათებისა. ფაბრიკა უგზავნის ყველა ამას მსურველს ფოსტით ფასდადებით უბეოდ. გზავნის აგრეთვე ნაჭრებად 4 არშინს და 1 ჩარექს კაცის კოსტიუმისათვის—5 მ. 50 კ. უფრო კარგი ღირს; ბისას—6 მ. 85 კ. „პრიმას" ხარისხის—8 მ. 40 კ. „ექსტრას"—10 მ. 50 და 12 მ. 50 კ. სამ ან მეტი ნაჭრის დაბარების დროს მყიდველს ეძლევა საჩუქრად საჩრჩილი.

◀ სრულიად უფასოდ ▶

ჩაწყობა და გაგზავნა ფაბრიკის ხარჯით.

ადრესი: Г. Лодзь. Фабрика Товарищества Суконно-Шерстяной Мануфактуры N 18.

ფირმას მიღებული აქვს მედალი ფაბრიკის რეხტოვის გამოფენაზე. მოითხოვეთ უფასოდ სრული პრეის-კურანტი. (3—ფ—1)

**ექიმი ჟ. მ. ჩიქოვანი**

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად საკუთარ სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—14)

ქ. ქუთაისში

**თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში**

(ალექსანდრ. ქ. ბულვარის მახლობლად, დიმ. ზ. ბოკერიას შენობაში)

იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.

სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.

აქვე იყიდება წიგნი **გუთანი,** ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—6.—10)

I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ I მანეთიდან

**ხელის მაშინები 25 მანეთიდან**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (10—6.—1)

# „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი"

გოლოვინის პროს., № 9. ტფილისის განყოფილება გოლოვინის პროს., № 9.

## ერიდეთ სიყალბეს!!!

**ყურადღება მიაქციეთ აქ დახატულ საფაბრიკო ნიშანს, რომელიც ყველა ჩვენ გრამოფონსა აქვს!!!**

**გრამოფონი** საუკეთესო გასართობია სახლში!!! მღერის, ლაპარაკობს, უსტვენს, თამაშობს და სხვ. შეძლებას იძლევა ყოველ დროსა და ჟამს, ყური დაუგდოთ საუკეთესო მომღერლის ხმას და სხვა და სხვა კონცერტებს. ყველას შეძლებას აძლევს, გაინვითაროს სმენა და გაიმდიდროს მუსიკალური ცოდნა. შეძლებას აძლევს ყველას, გამართოს თავის სახლში საცეკვაო საღამოები. აღვიძებს მუსიკისადმი სიყვარულს. სასარგებლოა არა მარტო როგორც გასართობი, არამედ აღზრდის საქმეშიაც. იგი სახელია ჩვენი მოლაპარაკე მაშინებისა.

**ფასები მთელი რუსეთისთვის, კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის ერთნაირია,—შეუვაჭრებლად.**

ყველა ფირფიტა, რომელიც ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებზე იაფად იყიდება, ან ყალბია ან ძველი, უკვე ნახმარი, და ასეთ ფირფიტებისთვის პასუხის-მგებლობას ვერ ვიკისრებთ.

**მიღებულია აპარატები სულ ახალ კონსტრუქციისა** საუკეთესო მექანიზმით და ახალ მოდელებთან.



**მიღებულია აუარებელი გურული ხმები.**

მოითხოვეთ ნახატი კატალოგები აპარატებისა და სია ფირფიტებისა, რომლებიც იძლევა და იგზავნება უფასოდ.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

### ვისაც ეინტერესება და სურს,

**საზოგადოება სთხოვს დაურიდებლად მობრძანდეს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 9.** სადაც აპარატებს დაუკრავენ და შეუძლიანთ მუქთად მოისმინოს.

### აპარატები იყიდება სამი წლის პასუხის-მგებლობით!!!

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ის ფირფიტები, რომლებზედაც გადაღებულია ნამღერი მთელ დედამიწაზე ცნობილ მომღერალ ქალებისა და კაცებისა. ამ მომღერალთა გვარები და ფოტოგრაფიული სურათები დაბეჭდილია კატალოგებში.

**ამა წლის 1 დეკემბრიდან გაიყიდება ორ-მხრივი ფირფიტები ადგილობრივ ენებზე. პატარა ფირფიტა 75 კაპ. და გრანდი 1 მ. 50 კ. ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ეს მხედველობაში მიიღოს.**

## ერიდეთ სიყალბეს!

(15—6.—4)

## პროვოდნიკის

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. „ПРОВОДНИКЪ" РИГА

## ამხანაგობა

1888

### რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

**რეზინის საეკიპაჟო შინები,**

**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი"** (წითელი),

**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**

**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**

**„პროვოდნიკი"-ს** ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

## ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების

## „პროვოდნიკი"-სა